



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით  
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბალანხზე რიცხული  
ავტომანქანის შეკეთების და ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის  
(CPV 50112000 ავტომანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება)

## სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. წალენჯიხა

იანვარი 2014 წელი.

## ს ა რ ჩ ე ვ ი :

1.	ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეეთათვის -----	3
2.	პრეტენდენტის შესახებ წარმოსადგენი ინფორმაცია -----	3
3.	ტექნიკური დავალება -----	3
4.	ანგარიშსწორების პირობები -----	4
5.	დამატებითი ინფორმაცია -----	4
6.	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი -----	5
7.	დანართი №1 – სატენდერო წინადადების ფორმა -----	8
8.	დანართი №2 – ფასების ცხრილის ფორმა -----	9
9.	დანართი №3 – აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა -----	10

## 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ( შემდგომში - სისტემა) პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად. იხ. ვებ.გვერდი [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge).

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

როგორც იურიდიულ ასევე ფიზიკურ პირთათვის:

პრეტენდენტმა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით უნდა ატვირთოს:

ა) რეკვიზიტები (დასახელება, საიდენ. კოდი, იურ. და ფაქტ. მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა, IBAN ანგარიშის ნომერი);

ბ) ხელმძღვანელის ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა;

გ) სატენდერო წინადადების ფასი დანართი №2-ის შესაბამისად.

2.2. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი მე-2 ნაწილის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

### 3.1 ტექნიკური დავალება

3.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტომანქანის **MERCEDES BENZ ML-350** შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

3.2. სატრანსპორტო საშუალების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (სერვისი სათადარიგო ნაწილები) გულისხმობს ტრანსპორტის დროულ და სრულყოფილ შეკეთებას მოთხოვნიდან 1-3 დღის ვადაში, პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარებას, ნაწილების შეკეთებას და /ან გამოცვლას.

3.3. სატრანსპორტო საშუალების დაზიანებული ნაწილი უნდა შეიცვალოს ახალი სათადარიგო ნაწილით და უნდა შეესაბამებოდეს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილში მითითებული საქონლის დასახელებას და ფასს.

3.4. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 4. ანგარიშსწორების პირობები

ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების მოცულობის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის, ინვოისის ან სხვა დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

## 5. დამატებითი ინფორმაცია

5.1. სატენდერო წინადადება უნდა მოქმედებდეს არანაკლებ 120 (ასოცი) კალენდარული დღის განმავლობაში მისი სისტემაში ატვირთვიდან.

- 5.2. პრეტენდენტს არა აქვს ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენის უფლება.
- 5.3. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
- 5.4. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ.
- 5.5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების განთავსებით პრეტენდენტი ავტომატურად ეთანხმება სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
- 5.6. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს: დავით სოსელია – ტელ.: 599 85 71 85;  
ელ. ფოსტა: [datososelia65@gmail.com](mailto:datososelia65@gmail.com)

მომსახურების და სათადარიგო ნაწილების დასახელება.

### MERCEDES BENZ ML-350. გამოშვების წელი 2006

N	ნაწილის დასახელება	განზომილება	რაოდენობა			
1	ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა 4 ჯერ	ლიტრი	9.0ლ 4 ჯერ=36 ლ			
2	რაზვალნი ტულკა წინა	კომპლექტი	1.0			
3	სამუხრუჭე ხუნდები წინა	კომპლექტი	1.0			
4	მშრალი ამორტიზატორების შეცვლა	კომპლექტი	1.0			
5	საბურავი 235/65 R17. საბურავის დაშლა/აწყობა ბალანსირება	ცალი	4.0			
6	სანთლები	ცალი	6			
7	აკუმულიატორი 100 ამპ	ცალი	1			
8	ამორტიზატორი უკანა	ცალი	2			
9	წინა საკისრის პოჭოჭიკები	კომპლექტი	1			

# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

## ხელშეკრულება №

ქ. წალენჯიხა

..... 2014 წ.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ერთის მხრივ წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ( შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბელქანიას სახით და მეორეს მხრივ ----- (დასახელება), (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი ხელმძღვანელის ----- (გვარი, სახელი) სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის და ----- (დასახელება) მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, № SPA----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.6. „ტექნიკური დავალება“ – №----- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ჯიპის ტიპის მაღალი გამავლობის ავტომანქანის **MERCEDES BENZ ML-350** შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს;  
ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

### 4. ანგარიშსწორების წესი

- 4.1. შემსყიდველი აგარიშსწორებას ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნული ვალუტით;
- 4.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი;
- 4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 4.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის ვადაში..

### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
  - ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
  - გ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, თუ ირღვევა ხელშეკრულების პირობები.
- 5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
  - ბ) მიიღოს მიწოდებული მომსახურება;
  - გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- 5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- 5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილი პირობებს და ვადების შესაბამისად;
  - ბ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დროულად და სრულად გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
  - გ) აუნაზღაუროს ზიანი შემსყიდველს, თუ ეს ზიანი გამოეწვია მის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო;
  - დ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## **6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

- 6.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით;
- 6.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
- 6.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი მოვალეობების შესრულებისაგან.

## **7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

- 7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ფორმდება წერილობითი ფორმით, ძალაში შედის მხარეების მიერ ხელის მოწერის შემდეგ და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 7.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
- 7.4. მხარე ვალდებულია ამ მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თავისი განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით აცნობოს მეორე მხარეს;
- 7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- 7.6. დაზღვეულ პირთა რაოდენობის ან შემადგენლობის ცვლილების შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულების კორექტირება, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი შეთანხმება.

## **8. ფორსმაჟორი**

- 8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორს-მაჟორი);
- 8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, ომით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების საშუალებით. ამ გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ აღიძრა გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს, ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

### 11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

11.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

### 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

„მიმწოდებელი“:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი  
ს. კოდი 242739248  
მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას  
ქ. №5. III სართული. ს.ს. „ლიბერთი  
ბანკი“ წალენჯიხის ფილიალი  
ბ. კოდი LBRTGE22  
ა/ა GE22LB0120179460264000  
ტელ: 599 85 71 71.

შპს „  
ს. კოდი  
მისამართი  
ს.ს. „  
ბ. კოდი  
ა/ა, GE.  
ტელ:

.....  
დავით ბელქანია

სატენდერო წინადადება

თარიღი: \_\_\_\_\_

ვის: \_\_\_\_\_  
ვისგან: \_\_\_\_\_  
(პრეტენდენტის დასახელება) (შემსყიდველი) (ორგანიზაციის) (დასახელება)

შევსწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია, თანახმა ვართ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ \_\_\_\_\_ მიწოდება და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: \_\_\_\_\_

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ მომსახურების მიწოდება \_\_\_\_\_ დღის განმავლობაში და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ „ხელშეკრულება“) ძალაში შესვლიდან \_\_\_\_\_ დღეში (სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად აქ შეიძლება ჩაიწეროს მომსახურების მიწოდების გრაფიკი ან დაწყება-დასრულების კონკრეტული თარიღი).

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაშია \_\_\_\_\_ დღის განმავლობაში, დაწყებული შემდეგი თარიღიდან: \_\_\_\_\_.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ“ დებულებას და ტენდერის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები (გვერდების რაოდენობის მითითებით):\*

1. ფასების ცხრილი, დანართი N---.

\_\_\_\_\_ (ხელმოწერა) (თანამდებობა)

\_\_\_\_\_ (პრეტენდენტის დასახელება)



(პრეტენდენტის დასახელება)

N	ნაწილის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	მოსახურების ფასი	სულ ჯამი
1	ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა 4 ჯერ	ლიტრი	9.0			
2	რაზვალნი ტულკა წინა	კომპლექტი	1.0			
3	სამუხრუჭე ხუნდები წინა	კომპლექტი	1.0			
4	მშრალი ამორტიზატორების შეცვლა	კომპლექტი	1.0			
5	საბურავი 235/65 R17. საბურავის დაშლა/აწყობა ბალანსირება	ცალი	4.0			
6	სანთლები	ცალი	6			
7	აკუმულიატორი 100 ამპ	ცალი	1			
8	ამორტიზატორი უკანა	ცალი	2			
9	წინა საკისრის პოჭოჭიკები	კომპლექტი	1			

თანამდებობა, სახელი, გვარი

ხელმოწერა

შევსების თარიღი \_\_\_\_\_

**შენიშვნა:**

გამარჯვებულმა კომპანიამ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფასების ცხრილი უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული ფასების ცხრილის მიხედვით.

აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა

- 
- 
- 
- 
- 

